



დანართი №5

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ნინო ფაილოძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება		ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი		428518017

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		დედოფლისწყარო
ფაქტობრივი მისამართი		ქ. დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქ. (ყოფილი რუსთაველის ქუჩა 45)
საფოსტო ინდექსი		1600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი		https://skola-gorgasali.edupage.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა		meufe.75@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი		598785858

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 25 0000312574, 20/03/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025, 15-16 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქ. (ყოფილი რუსთაველის ქუჩა 45), 6 შენობა-ნაგებობა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქ. (ყოფილი რუსთაველის ქუჩა 45), 6 შენობა-ნაგებობა
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქ. (ყოფილი რუსთაველის ქუჩა 45), 6 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 20 მარტის, MES 4 25 0000312574 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს [თავმჯდომარე: **ქეთევან ბოტკოველი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), წევრები: **სოფიკო ანთაური** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); **ნინო ფაილოძე** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); **მარიამ ლეკიაშვილი** (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); **ინგა გელაშვილი** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); **თამარ წულუკიძე** (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); **მაია სიხარულიძე** (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); **ინგა დარსაველიძე** (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); **თეონა აბრამიშვილი** (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); **ქეთევან ბორაშვილი** (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)] დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში.

ავტორიზაციის ვიზიტი, გეგმის თანახმად, განხორციელდა 2025 წლის 15-16 მაისს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ქ. დედოფლისწყაროში, ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ესწრებოდა ყველა საგნის ექსპერტთა გასაუბრებებს და სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს, ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
240	203	240

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
----------------------	--



სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



მოსწავლეთა ღონისძიებები	მხარდაჭერის	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
----------------------------	-------------	--

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 240	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი



ინდიკატორი N		
--------------	--	--

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N. 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების სვეტში ძირითადი სასწავლო რესურსის — გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს — მითითებისას დაცულ იქნას ერთიანი და სტანდარტიზებული მიდგომა. კერძოდ, სათანადოდ მიეთითოს სახელმძღვანელოს სრული ბიბლიოგრაფიული რეკვიზიტები: დასახელება, ავტორ(ებ)ი, გამომცემლობა და გამოცემის წელი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს რესურსების სისტემურ აღრიცხვას, გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან რესურსების მიზნობრივ შერჩევასა და ეფექტიან გამოყენებას.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შემოქმედებით დავალებებს სასურველია, დაემატოს ისეთი აქტივობებიც, რომლებიც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მაგ: როგორიცაა როლური თამაშები, მოდელების შექმნა, ილუსტრაციების ხატვა, მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება. საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. სპორტი სასურველია, სკოლაში ორგანიზებულ ფესტივალებსა და მსგავს ღონისძიებებში, მშობელი აქტიურად იყოს ჩართული როგორც მონაწილე (მაგალითად, თამაშებსა და აქტივობებში), ასევე მხარდამჭერის



		(გულშემატკივრის) როლში. ასეთი ჩართულობა ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ზრდასა და სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობით ოჯახისა და სკოლის მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებას."
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული რესურსების გარდა წარმოდგენილ იქნას დამატებითი, უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი, განსაკუთრებით დიფერენცირებული სწავლების მხარდაჭერის მიზნით. სასურველია რესურსთა ძირითად ჩამონათვალს (სახელმძღვანელო, რვეული, ტელესკოლა და ინტერნეტ რესურსი) დაემატოს: რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების წყაროები, ყოფაცხოვრებაში მარტივად ხელმისაწვდომი მასალების გამოყენების ინსტრუქციები, ონლაინ პლატფორმები და მასალები, რომლებიც შეიცავს დიფერენცირებული აქტივობების მაგალითებს, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის პრაქტიკულობას, მრავალფეროვნებას და მის ხელმისაწვდომობას მოსწავლეთა ფართო სპექტრისთვის. - სასურველია, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების სვეტში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლებიც უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ



		უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, დიფერენცირებული სწავლების ფარგლებში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის პროცესში მათი სრულფასოვანი ჩართულობის მხარდაჭერას. სპორტი სასურველია, თეორიული სწავლების პროცესშიც უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებების შეთავაზება (მაგ, პროექტული სწავლების ფარგლებში სასურველია მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, დავალება წარადგინოს სხვადასხვა ფორმით — მაგალითად, ვიზუალური ნამუშევრით (ნახატი), ბუკლეტით, კედლის გაზეთით ან სხვა კრეატიული საშუალებით. აღნიშნული მიდგომა განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითგამოხატვის შესაძლებლობას და სწავლაზე მოტივაციის ზრდას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, მოსწავლეთა ჩართულობა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში გახდეს უფრო აქტიური და სისტემური. ეს წახალისებს მათში რეფლექსიის უნარის განვითარებას, სწავლაზე პასუხისმგებლობის გაზრდას და საკუთარი პროგრესის შეფასების კულტურის ჩამოყალიბებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები მე და საზოგადოება; ჩვენი საქართველო - სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებში და გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და



		ამოცანებს, თუმცა სასურველია მოხდეს გარკვეული საკითხების დახვეწა (სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები უფრო მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან) სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. უცხოური ენები სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ პასუხობდეს საგნობრივ სტანდარტში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სწავლის მიზნებისა და მიღწეული შედეგების მეტად გამჭვირვალე და თანმიმდევრულ დაკავშირებას, რაც გაამარტივებს როგორც შეფასების პროცესს, ისე მოსწავლის პროგრესის ობიექტურ ანალიზს.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სპორტი სასურველია, წარმოდგენილი შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მუდმივი წვდომა შეფასების მოლოდინებთან. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სწავლების მიზნების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა ცნობიერ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია მასწავლებელმა გაითვალისწინოს კურიკულუმის მიზნები და შედეგები და შეარჩიოს დამატებით ისეთი რესურსები, რომლებიც ყველაზე ეფექტურად შეუწყობს ხელს ამ მიზნების მიღწევას. რამდენადაც, დამხმარე რესურსების გამოყენება თავის მხრივ ხელს უწყობს სწავლების დიფერენცირებას, მოსწავლეების მოტივაციასა და ჩართულობას. ასევე სასურველია, კურიკულუმით წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს, როგორიცაა: ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების



		რესურსები, როგორიცაა მაგ. ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებული მასალები წყალი, ზეთი, მარილი, შაქარი, ცარცი და სხვა. საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, საგნებში - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო - კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
	საბაზო საფეხური	
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები • სასურველია -ფიზიკა (VIII კლასი), ბიოლოგია (VII,VIII.XII კლასებში)- კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსის გრაფაში დასახელდეს ძირითადი რესურსი -გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით; სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში აპრობირებული რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის მეთოდური ბარათები). • სასურველია -თითოეული საკითხის აღწერისას უფრო კონკრეტულად იყოს მითითებული, რომელი შედეგის მიღწევას უწყობს ხელს ესა თუ ის აქტივობა, აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკულ გამოყენებაზე და რეალურ ცხოვრებასთან კავშირზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები



		სასურველია, საგან „გეოგრაფიის“ კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებების რაოდენობის გაზრდა და ამ დავალებების შედეგად შექმნილი პროდუქტების ტიპობრივი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რაც მეტად შეუწყობს ხელს პრობლემის გადაჭრის, კვლევის და ანალიზის უნარების განვითარებას მაგალითები: პროექტები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა, პრეზენტაციები, დებატები და ა.შ ესთეტიკური აღზრდა სასურველია კურიკულუმის სტრუქტურაში არსებული სვეტი „საკითხი / საკითხთა კლასტერი“ განვრცობილად ასახავდეს როგორც თემატურ სათაურებს, ისე მათ შინაარსობრივ გაშლას საკითხების დონეზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგნობრივი მიზნებისა და სასწავლო შედეგების თანხვედრის გამჭვირვალობას, სწავლების პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და შესრულებული შინაარსის შეფასებისას ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრას.
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული რესურსების გარდა წარმოდგენილ იქნას დამატებითი, უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი, განსაკუთრებით დიფერენცირებული სწავლების მხარდაჭერის მიზნით. სასურველია რესურსთა ძირითად ჩამონათვალს (სახელმძღვანელო, რვეული, ტელესკოლა და ინტერნეტ რესურსი) დაემატოს: რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების წყაროები, ყოფაცხოვრებაში მარტივად ხელმისაწვდომი მასალების გამოყენების ინსტრუქციები, ონლაინ პლატფორმები და მასალები, რომლებიც შეიცავს დიფერენცირებული აქტივობების მაგალითებს, რაც ხელს შეუწყობს



		სასწავლო პროცესის პრაქტიკულობას, მრავალფეროვნებას და მის ხელმისაწვდომობას მოსწავლეთა ფართო სპექტრისთვის. • ასევე სასურველია დაემატოს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების განსხვავებულ სწავლის სტილს და საჭიროებას. მაგალითად, როგორიცაა: ექსპერიმენტები და დემონსტრაციები, დისკუსიები და დებატები, პროექტები და კვლევები. საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, მოქალაქეობის, ისტორიის, გეოგრაფიის- კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, დიფერენცირებული სწავლების ფარგლებში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის პროცესში მათი სრულფასოვანი ჩართულობის მხარდაჭერას. სპორტი სასურველია, თეორიული სწავლების პროცესშიც უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებების შეთავაზება (მაგ, პროექტული სწავლების ფარგლებში სასურველია მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, დავალება



		წარადგინოს სხვადასხვა ფორმით — მაგალითად, ვიზუალური ნამუშევრით (ნახატი), ბუკლეტით, კედლის გაზეთით ან სხვა კრეატიული საშუალებით. აღნიშნული მიდგომა განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითგამოხატვის შესაძლებლობას და სწავლაზე მოტივაციის ზრდას.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, მოსწავლეთა ჩართულობა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში გახდეს უფრო აქტიური და სისტემური. ეს წახალისებს მათში რეფლექსიის უნარის განვითარებას, სწავლაზე პასუხისმგებლობის გაზრდას და საკუთარი პროგრესის შეფასების კულტურის ჩამოყალიბებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები გეოგრაფია, ისტორია- სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებში და გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა სასურველია მოხდეს გარკვეული საკითხების დახვეწა (სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები უფრო მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან) სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. უცხოური ენები სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ პასუხობდეს საგნობრივ სტანდარტში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სწავლის მიზნებისა და მიღწეული შედეგების გამჭვირვალე და თანმიმდევრულ დაკავშირებას, რაც გაამარტივებს როგორც შეფასების პროცესს, ისე მოსწავლის პროგრესის ობიექტურ ანალიზს.



2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სპორტი სასურველია, წარმოდგენილი შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მუდმივი წვდომა შეფასების მოლოდინებთან. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სწავლების მიზნების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა ცნობიერ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, აგრეთვე იყოს განმარტებული დამხმარე რესურსების გამოყენების მიზნები და ფორმები სასწავლო პროცესში. ამ ფორმატით წარმოდგენა ხელს შეუწყობს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, ასევე გაამარტივებს როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას.
	საშუალო საფეხურის კურიკულუმი	
2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები • სასურველია, ფიზიკისა და ბიოლოგიის (XI–XII კლასები) კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში, ძირითადი რესურსების სახით ცალსახად იყოს მითითებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო შესაბამისი დასახელებით, ავტორებით, გამომცემლობითა და გამოცემის წლით. ამასთანავე, სასურველია აღნიშნულ საგნებში რესურსების გრაფაში აისახოს სკოლების პრაქტიკაში აპრობირებული რეალური ლაბორატორიული სამუშაოებისა და სადემონსტრაციო ცდების კონკრეტული რესურსები. • ბიოლოგიის შემთხვევაში, სასურველია კურიკულუმში მეტად გააქტიურდეს აქცენტი პრაქტიკულ დავალებებსა და ექსპერიმენტულ საქმიანობაზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევითი უნარების,



		მეცნიერებისადმი დაინტერესებისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებას
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში შემოქმედებითი აქტივობების რაოდენობისა და მრავალფეროვნების ზრდა, რაც გააძლიერებს მოსწავლეთა კვლევით, ანალიტიკურ და პრობლემის გადაჭრის უნარებს. მათემატიკა სასურველია, კურიკულუმში სრულად აისახოს ის აქტივობები, რომლებსაც სკოლა ახორციელებს და რომლებზეც ინფორმაცია წარმოდგენილი იყო გასაუბრების პროცესში, რათა მოხდეს მათი სისტემური ინტეგრირება სასწავლო პროცესში.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული რესურსების გარდა წარმოდგენილ იქნას დამატებითი, უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი, განსაკუთრებით დიფერენცირებული სწავლების მხარდაჭერის მიზნით. სასურველია რესურსთა ძირითად ჩამონათვალს (სახელმძღვანელო, რვეული, ტელესკოლა და ინტერნეტ რესურსი) დაემატოს: რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების წყაროები, ყოფაცხოვრებაში მარტივად ხელმისაწვდომი მასალების გამოყენების ინსტრუქციები, ონლაინ პლატფორმები და მასალები, რომლებიც შეიცავს დიფერენცირებული აქტივობების მაგალითებს, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის პრაქტიკულობას, მრავალფეროვნებას და მის ხელმისაწვდომობას მოსწავლეთა ფართო სპექტრისთვის. - ასევე სასურველია დაემატოს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების განსხვავებულ სწავლის



		სტილს და საჭიროებას. მაგალითად, როგორიცაა: ექსპერიმენტები და დემონსტრაციები, დისკუსიები და დებატები, პროექტები და კვლევები. საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, მოქალაქეობის, ისტორიის, გეოგრაფიის- კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლების დიფერენციაციის სტრატეგიებს, რათა ყველა მოსწავლის საჭიროება იყოს გათვალისწინებული (მაგ., დამატებითი დავალებები, ინდივიდუალური პროექტები, ჯგუფური სამუშაოები სხვადასხვა დონეზე). სპორტი სასურველია, თეორიული სწავლების პროცესშიც უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებების შეთავაზება (მაგ, პროექტული სწავლების ფარგლებში სასურველია მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, დავალება წარადგინოს სხვადასხვა ფორმით — მაგალითად, ვიზუალური ნამუშევრით (ნახატი), ბუკლეტით, კედლის გაზეთით ან სხვა კრეატიული საშუალებით. აღნიშნული მიდგომა განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითგამოხატვის შესაძლებლობას და სწავლაზე მოტივაციის ზრდას.



2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა: გეოგრაფია, ისტორია- სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებში და გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა სასურველია მოხდეს გარკვეული საკითხების დახვეწა (სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები უფრო მკვეთრად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან) სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. უცხოური ენები: სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ პასუხობდეს საგნობრივ სტანდარტში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სწავლის მიზნებისა და მიღწეული შედეგების გამჭვირვალე და თანმიმდევრულ დაკავშირებას, რაც გაამარტივებს როგორც შეფასების პროცესს, ისე მოსწავლის პროგრესის ობიექტურ ანალიზს.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სპორტი სასურველია, წარმოდგენილი შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მუდმივი წვდომა შეფასების მოლოდინებთან. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სწავლების მიზნების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა ცნობიერ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, აგრეთვე იყოს განმარტებული დამხმარე რესურსების გამოყენების მიზნები და ფორმები სასწავლო პროცესში. ამ ფორმატით წარმოდგენა ხელს შეუწყობს რესურსების მიზნობრივ და



		ეფექტიან გამოყენებას, ასევე გაამარტივებს როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას.
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

წინა ვიზიტის ფარგლებში სკოლისთვის რეკომენდაციები არ გაცემულა.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დანართის სახით ერთვოდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, რომელიც ექსპერტთა მიერ გაზიარებული იქნა. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორი 4.1.1.1, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი, გადაისინჯა და შეფასდა სრულ შესაბამისობად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის №3–55 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით (შემდგომში – სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები), **სასწავლებლის მისია გახლავთ** - შექმნას შესაძლებლობების განვითარებასა და ღირებულებების ცვლილებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის საჭიროებების შესაბამის სასწავლო აქტივობებზე. ხელი შეეწყობა მოსწავლეებში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის გააზრების, გადაწყვეტილების მიღების, იდეების განხორციელებისა და დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის საჭირო თეორიების, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებას. აღნიშნული მისიის პარალელურად, სკოლის ხედვა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მუნიციპალიტეტის საჭიროებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომლის თითოეულ წევრსაც ექნება საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.
- მოსწავლეებში დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების უწყვეტი რეალიზებისადმი, როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ასევე საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ.
- თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებისათვის.

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შეფასების შედეგად დგინდება, რომ ისინი აშკარად ემყარება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიის ფორმულირება ცხადად აჩვენებს,

რომ სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლის ინტელექტუალური, ღირებულებითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად. კერძოდ:

- მისია ხაზს უსვამს ღირებულებების გააზრებასა და მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რაც მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციების, კულტურული ღირებულებებისა და ეროვნული იდენტობის მხარდაჭერას.
- ასევე, სკოლა ემსახურება მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ქვეყნის განვითარებისა და ადგილობრივი ინტერესების ერთგულების გამოვლინებაა.
- მისია პირდაპირ მიუთითებს: „გადაწყვეტილების მიღებისა და დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარება“, რაც ზუსტად პასუხობს მიზანს. - დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილების მიღება:
- „იდეების განხორციელება“ მისიის ნაწილში გულისხმობს შემოქმედებით და ინიციატივის გამოვლენას, რაც უკავშირდება მიზანს — იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები:
- მისიის დასაწყისში ნახსენებია „შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა“, რაც სწორედ მუდმივ პიროვნულ ზრდასა და თვითრეალიზაციას უკავშირდება.
- მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის გააზრებისკენ მიმართული მიდგომა პირდაპირ კავშირშია ტოლერანტობის იდეასთან,

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი არა მხოლოდ შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლებულ ვერსიას, არამედ სხვადასხვა მიმართულებით აჩვენებს მაღალ შესაბამისობას, რაც ცხადყოფს მისი სტრატეგიული საფუძვლების დროულობასა და მიზნობრივობას.

ინდიკატორის 1.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიისა და ხედვის კონცეფცია აჩვენებს, რომ მთავარი აქცენტი კეთდება იმ საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, იმუშავონ პიროვნული განვითარებისა და მთავარი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, ორიენტირდნენ არა მხოლოდ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის გააზრებაზე, არამედ იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც აუცილებელია დამოუკიდებელი ცხოვრების, გადაწყვეტილების მიღებისა და იდეების განხორციელებისთვის. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობის და სიახლეებისადმი მიმდებლობის წახალისება ხელს შეუწყობს უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას, სადაც თითოეული წევრი შეძლებს პიროვნული განვითარებისთვის საჭირო რესურსების პოვნას.

ინდიკატორის 1.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში, სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N3-35 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სკოლის პერსონალის, მოსწავლეების და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისაგან.

სამუშაო ჯგუფმა განახორციელა პროცესი, რომელიც ეფუძნებოდა სკოლის მიერ შემუშავებულ ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მეშვიდე მუხლს. ამ პროცესის ნაწილად ჯგუფმა შეიმუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის მეშვეობითაც ჩატარდა სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვა. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

აღნიშნული პროცესები, რომლებიც დასტურდება წარმოდგენილი ოქმების შესწავლითა და შესაბამის პირებთან გასაუბრებით, ადგენს, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა სკოლის ფილოსოფიის ფორმირებაში.

ინდიკატორის 1.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

როგორც უკვე აღინიშნა (1.1.1.3), სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართო სასკოლო საზოგადოების ფართო წრე. საბოლოო სახის მინიჭებამდე, დოკუმენტი პროექტის სახით განიხილეს პედაგოგებმა პედაგოგთა საბჭოს სხდომაზე, ხოლო კლასის დამრიგებლებმა ის განიხილეს მოსწავლეთა მშობელთა საერთო კრებებზე. შესაბამისად, ეს პროცესი ადასტურებს, რომ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები სრული თანხმობითა და მხარდაჭერით იქნა გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.

ინდიკატორის 1.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის ფილოსოფიის საჯაროობის უზრუნველსაყოფად, სამივე შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია და ასევე სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორის 1.1.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

2024 წლის ნოემბრიდან სკოლის ოფიციალური დასახელება გახდა „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა“, რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით.

ინდიკატორის 1.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):



- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3–55 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (შემდეგში ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია) სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს N3–31 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N3–35 ბრძანება;
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- დანართი N5 – ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კლასისთვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობის კრების სხდომის ოქმის ნიმუში;
- სკოლის ვებ გვერდი;
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული “ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის” მეორე მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები. კერძოდ:

თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი პროცესია, რომელიც განხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. ეს უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.

სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება - სკოლა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ამ მიზნით, ყოველი ახალი სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის დაწყებისას, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ან/და დოკუმენტების გაზიარებას, როგორც ეს განსაზღვრულია მეთოდოლოგიის მე-4 მუხლში.

ამავე დოკუმენტის მესამე მუხლი არეგულირებს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მეოთხე მუხლი განსაზღვრავს ჩართულ მხარეებს, მეხუთე მუხლი - სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადგენლობას, მერვე მუხლი - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, მეცხრე მუხლი - ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ხოლო მეათე მუხლი - სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას.

ინდიკატორის 1.2.1.1. მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2024-2030) გეგმა, რომელიც დამტკიცებულია „ა(ა)პ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2024 წლის 5 იანვრის N3-01 ბრძანებით, ითვალისწინებს ოთხ ძირითად სტრატეგიულ მიზანს: მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განვითარება; მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; მოსწავლეთა მხარდაჭერა მასწავლებელთა კომპეტენციის ზრდის საშუალებით.



სტრატეგიული გეგმის შედგენის დროს ჯგუფი დაეფუძნა სკოლის ფილოსოფიას, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებს, გასული წლების SWOT ანალიზს და შესაბამისად სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა მიზნები, ამოცანები, ქვეამოცანები, განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი ვადები.

ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. თითოეული მიზნის შესრულება განისაზღვრა ცალკეული წლისთვის (2024-2030), ზოგიერთ შემთხვევაში კი კონკრეტულ წლებზე.

ინდიკატორის 1.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2025 ს/წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N3-46 ბრძანებით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან. სკოლამ გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა გასული სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით (ანგარიშები, SWOT ანალიზი), გაითვალისწინა გამოწვევები და განვითარების ძირითადი მიმართულებები.

ექსპერტთა მიერ გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ორიენტირებულია სწავლებისა და შეფასების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, რაც შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიულ გეგმაში არსებულ მიზნებთან.

ინდიკატორის 1.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნების განსახორციელებლად განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რეალისტური აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული და კალენდარული ვადები აქტივობების შესასრულებლად. ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანები და აქტივობები რეალისტურია და მათი განხორციელება დავალებული აქვთ შესაბამისი კომპეტენციის პირებს.

ინდიკატორის 1.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (შემდეგში ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია) სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს N3-31 ბრძანება;



- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 05 იანვრის N3-01 ბრძანება;
- "მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N3-46 ბრძანება;
- 2023-2024 სასწავლო წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანგარიში და სკოლის აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშები;
- სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით “ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია” (მუხლი 11) განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის და შეფასების წესები, რომლის თანახმად სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ინტერვიუები, დოკუმენტების ანალიზი, დაკვირვება და შესაბამისი შეფასება, რაც უზრუნველყოფს იმ მიზნების შესრულების დადგენას, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიულ გეგმაში, აგრეთვე შეფასდება, თუ რამდენად ეფექტური იყო დამტკიცებული სტრატეგია.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული პროცესის ორგანიზებასა და მონიტორინგის განხორციელებაზე. სამუშაო ჯგუფის მიერ ხორციელდება გაერთიანებული სხდომების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობენ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. შეხვედრის მონაწილეები განიხილავენ და განსაზღვრავენ თითოეული აქტივობის სტატუსს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, სხდომის თავმჯდომარე დეტალურად ეცნობა/განიხილავს სტრატეგიული გეგმის მდგომარეობას, ხოლო მისი ხელმძღვანელობით ხდება შესაბამისი აქტივობების შეფასება.



მონიტორინგის პროცესში სკოლა იყენებს ანგარიშების წარდგენის მექანიზმს. ყოველ სასწავლო წელს, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები აწვდიან დაწერილ ანგარიშებს, რომელშიც ასახულია მათი საქმიანობა და შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შედგება ცხრილი, რომელიც ასახავს თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულების შედეგებს. საბოლოო ჯამში, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული სხდომა, რომელზეც ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შეფასება.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე, რომ სამოქმედო გეგმის ანგარიშში სკოლამ შესაძლოა დაამატოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ შედის სამოქმედო ან სტრატეგიულ გეგმებში. აღნიშნულში შეიძლება შედიოდეს: სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ჭრილში, აქტივობის ამსახველი ფოტომასალები, ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და სხვა შესაბამისი მასალა, რომელიც ხელს უწყობს გეგმის უფრო დეტალურ ანალიზს.

ინდიკატორის 1.2.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

როგორც უკვე აღინიშნა (1.2.2.1), სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, რაც ფორმდება შემაჯამებელი ანგარიშის სახით. შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტში მოცემულია მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. ანგარიშის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ წარმატებით შეასრულა გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ამოცანები, ხოლო იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც ვერ განხორციელდა, ასახულია 2024-2025 სასწავლო წლის ახალ სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის 1.2.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ანგარიშის სახით ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას. შესაბამისად სკოლის ვებ გვერდზე გამოყოფილია სივრცე სადაც განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია - აღმასრულებელი დირექტორის მიერ მომზადებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში.

ინდიკატორის 1.2.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების (2023-2024) ანგარიში გამოყენებულ იქნა მომდევნო პერიოდის დაგეგმვის მიზნით, შესაბამისად, განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყო კომპლექსური თვითშეფასება. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლაში შეიქმნა პედაგოგთა პროფესიული საქაღალდეები; დაიხვეწა მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა; განხორციელდა საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია, ინტეგრირებული სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით; დაინერგა შიდა სასკოლო პროექტები, დაიხვეწა საგნობრივი კურიკულუმები და სხვა.

ინდიკატორის 1.2.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (შემდეგში ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია) სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს N3-31 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 05 იანვრის N3-01 ბრძანება;
- "მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N3-46 ბრძანება;
- სკოლის ვებ გვერდი;
- 2023-2024 სასწავლო წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანგარიში და სკოლის აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშები;
- სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, მათი ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები, აგრეთვე თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირების პასუხისმგებლობები. დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოფილია სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობების გამჭვირვალობა და შესაბამისი კოორდინაცია. პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია აღწერითი ხასიათით, რაც კონკრეტულად ასახავს მათი პასუხისმგებლობების სფეროებს, მათ მიერ შესრულებული დავალებების ვადებს და პროცესებში ჩართულობას. ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითაა გაწერილი პროცედურების პერიოდულობა და შესრულების ვადები. დებულების თანახმად სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, და ტექნიკურ პერსონალს. დირექციაში შედიან: დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის მენეჯერი და ბუღალტერი. ადმინისტრაციაში გაწევრიანებულები არიან: ბიბლიოთეკარი, ექთანი, საქმეთა მმართველი, ინფო მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი, დამლაგებელი, სპეციალისტი - პროექტის მენეჯერი და აღმზრდელი.

ინდიკატორის 3.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის დებულებაში, დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თითოეული სტრუქტურული რგოლის ჩართულობა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის ყველა ორგანიზაციული სტრუქტურა შეთანხმებულია და ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, რაც ასევე ნათელი გახდა ვიზიტის დროს მათთან კომუნიკაციით.

ინდიკატორის 3.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დებულება;

- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N3-74 ბრძანება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

როგორც უკვე აღინიშნა (3.1.1.1.), სკოლის დებულებით განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს დასაქმებული პერსონალის მართვას მათი უფლება-მოვალეობების მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია სკოლის მისიის, მიზნების და ორგანიზაციის ღირებულებების საფუძველზე და დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის ბრძანებით. მასში ასახულია სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე გამოკვეთილი მოთხოვნები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის სრულ ციკლს.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ ადამიანური რესურსების მართვა ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს. ეს გახლავთ: ინდივიდუალური მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, მიზანშეწონილობა, გამჭვირვალობა, პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ორიენტაცია ხარისხზე. სკოლაში აღიარებულია და დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც ასევე სკოლის შინაგანაწესითაც არის განსაზღვრული, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით. სკოლის თანამშრომლებს აქვთ დისკრიმინაციისაგან თავისუფალ გარემოში მუშაობის

შესაძლებლობა. სკოლის დებულებისა და შინაგანაწესის ფარგლებში, განსაზღვრულია ის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც მიზნად ისახავს სკოლის პერსონალის უფლებების დაცვას. კერძოდ განსაზღვრულია: კონკრეტულად: შრომითი ურთიერთობების წარმოშობის პირობები, თანამშრომლის/მასწავლებლის მიღების წესები, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, სამსახურეობრივი მივლინება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა, ბრძანების გაცნობის წესი.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა ორიენტირებულია თანამშრომლებს შორის ურთიერთმხარდაჭერის განვითარებაზე, თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა სკოლის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში, მათ აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა ასევე დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დადგინდა მათი შესაბამისობა სკოლის დებულებით განსაზღვრულ თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და შინაგანაწესთან.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის პროცესების მართვის დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულების შედგენისას სკოლა მკაცრად იცავს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის თითოეული დასაქმებულის უფლებების სრულყოფილ დაცვას.

ინდიკატორის 3.1.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ასევე სკოლის შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა აწარმოებს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად ან/და მათზე რეაგირებისათვის.

დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს წარმატებული პრაქტიკის აღიარებასა და გავრცელებაზე. ზრუნავს არსებულ კადრებზე, მათ შენარჩუნებასა და განვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა ასევე, რომ ხარისხის ჯგუფის წევრები რეგულარულად ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, წარმართავენ შეფასებას და გაცემენ რეკომენდაციებს. მასწავლებლები, თავის მხრივ, აორგანიზებენ სამუშაო შეხვედრებს, სადაც ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ პრობლემურ საკითხებს, სახავენ გაუმჯობესების გზებს და საჭიროებისამებრ მონაწილეობენ ტრენინგებში, რომელსაც სკოლა უწევს ორგანიზებას.

პრევენციის მიზნით სკოლაში მიმდინარეობს თანამშრომლებზე დაკვირვება - შეფასება, რომელიც ემსახურება მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, ინტელექტუალური რესურსისა და საჭიროებების დადგენას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა ზრუნავს თანამშრომლების მხარდაჭერაზე და უზრუნველყოფს მათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობით.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა ასევე, რომ სკოლას აქვს პერსონალის პრევენციული მართვის მიდგომა. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ახდენს ანალიზს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ აცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად.

კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა პრევენციული მიზნით სკოლაში შემუშავებული დოკუმენტი - სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რომლის თანახმად საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის გაუარესების, მძიმე ოჯახური გარემოებების ან სხვა) სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია, გონივრულ ვადებში განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს დროებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო საგანგებო სიტუაციაში აცნობოს ადმინისტრაციას, არაუგვიანეს ერთი საათისა, სამუშაოს დაწყებამდე. შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გამოიყენოს დისციპლინური ზომა. სამსახურში გამოცხადების შემდეგ, თანამშრომელი ვალდებულია, ანაზღაუროს გაცდენილი სამუშაო დრო ადმინისტრაციასთან შეთანხმებული გრაფიკით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს წინასწარი შეთანხმება კონკრეტულ პირთან, მის ნაცვლად სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების თაობაზე.

ინდიკატორის 3.1.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დაცვით, წინასწარ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს N3-30 ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ჩატარების პრინციპები, კონკურსის გამოცხადების და ჩატარების პროცედურები, კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენის, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, კონკურსის შედეგების გასაჩივრების და სხვა საორგანიზაციო საკითხები. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. მასწავლებლების შერჩევის პროცესში სკოლა აქტიურად იყენებს teacherjobs.ge პლატფორმას, სხვა პოზიციებისათვის სკოლა ცდილობს სხვადასხვა საშუალებით მოიძიოს ინფორმაცია პოზიციისათვის შესატყვისი კადრების შერჩევის მიზნით. მათ შორის, რეკომენდაციით, სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებით, პირადი არხებით, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, დასაქმების გვერდზე ინფორმაციის განთავსებით. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია, საჭიროებისამებრ განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები. წინასწარ გაწერილია შეფასების კრიტერიუმებიც.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის დასაქმების, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესები, რომლის თანახმად პერსონალთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის აღმასრულებელი დირექტორი.

სკოლაში დასაქმების მსურველთათვის მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, კერძოდ, სკოლაში არ შეიძლება დასაქმდეს პირი, რომელიც: ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხნილი არ აქვს ნასამართლობა; რომელსაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული აქვს პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; რომელიც ნასამართლევია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს წინასწარ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის ნაწილს. მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება მოთხოვნების სრული დაცვით. გამონაკლისს წარმოადგენს მოწვეული/დროებით შემცვლელი მასწავლებელი, დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებაში ჩართული პერსონალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლაში პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის 3.1.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში დასაქმებული პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ და სკოლის დებულებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

სკოლაში, საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს 3–47 ბრძანების მიხედვით, დასაქმებულია საერთო ჯამში 24 მასწავლებელი. მათ შორის 1 მენტორი, 1 წამყვანი, 17 უფროსი, 1 მაძიებელი, 2 უსტატუსო მასწავლებელი და ასევე 2 დამატებითი სავალდებულო საგნის "სადვთო სჯულის" მასწავლებელი.

სკოლაში ინახება თითოეული მასწავლებლის და ტექ.პერსონალის პირადი საქმე, რომელშიც წარმოდგენილია საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტაცია. საკადრო აღრიცხვის ფურცელი, პირადობის ასლი, სტატუსის დამადასტურებელი თუ სხვა სერთიფიკატები, ცნობები სხვადასხვა ტრენინგ-კურსის გავლის შესახებ, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები პირად საქმეებში წარმოდგენილია ცნობები, რითაც დასტურდება, რომ ისინი არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ინდიკატორის 3.1.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების, სხვადასხვა მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმებიდან, ასევე მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია მონაწილეობითი და გუნდურ მუშაობაზე. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობითი ატმოსფეროს და მონაწილეობითი ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების და ასევე წარმოდგენილი ოქმების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ ისინი აქტიურად განიხილავენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დებულების, შინაგანაწესის, ვაკანსიის წესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, სკოლის მართვა ეფუძნება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდური მუშაობის და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებს. დებულებაში განსაზღვრულია სკოლის აღმასრულებელი ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის და პედაგოგიური საბჭოს წევრი მასწავლებლების უფლებამოსილებები, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას სწრაფად, ეფექტურად და დროულად. ამ დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპების დაცვა. კერძოდ, რიგ საკითხებზე, როგორცაა საათობრივი განრიგი, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სკოლის დისციპლინა და სხვ., მონაწილეობს რამდენიმე თანამშრომელი. ასევე არსებობს საკითხები, რომლებზეც საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ სკოლის საზოგადოების წევრების საერთო განხილვისა და შეთანხმების შემდეგ იღებენ. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საფეხურის სასკოლო კურიკულუმები, სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები, დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ შექმნილი კომისიები და სამუშაო ჯგუფები მუშაობენ კოლეგიური თანამშრომლობის პრინციპით. სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მნიშვნელოვან საკითხებზე წარუდგენენ სკოლის ხელმძღვანელობას შესაბამის მოსაზრებებს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხდება როგორც კენჭისყრის, ისე თანამშრომლების შეთანხმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გუნდური და მონაწილეობითი მართვის პრინციპების დაცვას. ამგვარად, თითოეული თანამშრომელი მიმართავს ძალისხმევას საერთო მიზნის მიღწევისკენ და ინარჩუნებს ერთიანობისა და მიზანმიმართული საქმიანობის განცდას.

სკოლაში თანამშრომლები პატივს სცემენ ერთმანეთს, თანამშრომლობის პრინციპებს, აქტიური კომუნიკაციის მეშვეობით კი ისინი კოლეგიალურად იღებენ გადაწყვეტილებებს. მათ აქვთ სრული წვდომა სასკოლო ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე, რათა განახორციელონ სასკოლო მიზნები.

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ქცევის ძირითადი ნორმებს, რომლებიც ქმნიან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ სამუშაო გარემოს. დებულებით გაწერილი ფუნქციები, რაც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ საქმიანობებს, ხელს უწყობს თანამშრომელთა თანამშრომლობასა და ერთობლივი მიზნების მიღწევას. ამ პროცესს უზრუნველყოფს საფეხურის სასკოლო

კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს ერთობლივ აქტივობებს და მათი განხორციელებისას სკოლის სხვადასხვა თანამშრომლის ჩართულობას.

ინდიკატორის 3.1.2.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა მუდმივად ეძებს მეთოდებს, რათა ეფექტურად აღიაროს და გაზიაროს თანამშრომლების წარმატებული გამოცდილება. სკოლა ორიენტირებულია თავის თანამშრომელთა მუდმივ განვითარებაზე, შესაბამისად, გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსებს და იძიებს შესაბამის ადამიანურ რესურსს, რათა უზრუნველყოს მათი პროფესიული ზრდა და წახალისება.

მნიშვნელოვანი წარმატებების ან განსაკუთრებული შრომის სანაცვლოდ, სკოლა დასაქმებულებს სთავაზობს წახალისების რამდენიმე ფორმას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქარი ან ერთჯერადი ფულადი პრემია. ასეთი წახალისების მიზანია, თანამშრომლებს მიეცეს სტიმული, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება.

წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესით არის განსაზღვრული, გათვალისწინებულია შემდეგ შემთხვევებში:

- პროფესიული წარმატების მიღწევა;
- სამუშაოს შესრულება მაღალი ხარისხით ან განსაკუთრებული სირთულის საქმიანობა;
- ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახური;
- საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებული მეკობრეობა ან ნიჭი.

დამატებით, სკოლის სოციალური მედია პლატფორმებზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია თანამშრომელთა წარმატებებისა და მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ, რათა საზოგადოების წინაშე გამოიკვეთოს სკოლაში მიღწეული წარმატებები.

წახალისების პროცესში, სკოლის შიდა რესურსები გამოიყოფა თანამშრომლების ინიციატივით განხორციელებული აქტივობებისთვის, რათა უფრო მოქნილი და ეფექტური გახდეს სკოლაში მოტივაციის ამაღლების მექანიზმები.

2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლამ მასწავლებლებს შესთავაზა სადაზღვევო პაკეტი თანადაფინანსების პრინციპით, რაც კიდევ ერთი ნაბიჯია თანამშრომლების სოციალური და ფინანსური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის 3.1.2.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):



- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N3-74 ბრძანება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება;
- "შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N3-45 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს N3-30 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს 3-47 ბრძანება;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანებები;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- ფინანსური დანამატის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებები.
- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სასწავლო გეგმების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო კურიკულუმების) დამტკიცების შესახებ“ სკოლის 2024 წლის 06 სექტემბრის N3-59 ბრძანება (შემდეგში საფეხურის სასკოლო კურიკულუმი).

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას აქვს ცხადად განსაზღვრული მექანიზმები პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად. სკოლის დებულებაში და დირექტორის 2020 წლის 3 დეკემბრის N23–80 ბრძანებით დამტკიცებულ - სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში - გაწერილია პროფესიული განვითარების გზები და პროცედურები.

მოქმედი მექანიზმების ფარგლებში, სკოლა რეგულარულად ახორციელებს კონსულტაციებს და სადისკუსიო შეხვედრებს, რომელთა მიზანია თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე დაფუძნებული პროფესიული განვითარება. ამასთანავე, თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების გამოკვლევა ხდება სამუშაო შეხვედრებზე, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების ინტერვიუებისა და დაკვირვების გზით.

ხარისხის ჯგუფის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური მხარდამჭერი სისტემა, რომელიც მოიცავს მონიტორინგს, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებასა და ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ეს ჯგუფი უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, პერიოდულად ესწრება გაკვეთილებს და უზრუნველყოფს განმავითარებელ უკუკავშირს. საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში, ასევე, ხდება კათედრის წევრთა ურთიერთდასწრება, სადაც კათედრები კოორდინირებულად მუშაობენ და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ამგვარი აქტივობები უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მუდმივ ციკლს და ხელს უწყობს კოლეგებს შორის ცოდნის გაცვლას, გამოცდილების გაზიარებასა და განვითარებას.

ინდიკატორის 3.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლის დირექციის განმარტებით და ასევე წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ ირკვევა, რომ როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული თანამშრომლების საქმიანობის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას და შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებაში. ამ მიზნით, სკოლა პერიოდულად ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას. გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლას თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი აქვს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა, კათედრების ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი თანამშრომლობა, სკოლის დაფინანსებით ტრენინგების ორგანიზება და სხვა. გარდა აღნიშნულისა, სკოლას აქვს პერსონალის პრევენციული მართვის მიდგომა. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის

ადმინისტრაცია ახდენს ანალიზს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს მათთვის სკოლის ბიუჯეტით დაფინანსებულ ტრენინგების ჩატარებას.

ინდიკატორის 3.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

მისიის, ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით, სკოლის შიდა დებულებები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლებისა და შეფასების პროცესის ეფექტურ მართვას, ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ამ კონტექსტში, სკოლაში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები:** სკოლა რეგულარულად უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და სხვა პერსონალის პროფესიული ზრდისათვის საჭირო ღონისძიებებს.
2. **კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრები:** თანამშრომლებს მიეწოდებათ საჭირო კონსულტაციები და სხვადასხვა თემაზე სადისკუსიო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას.
3. **მასწავლებელთა ჩართვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ პროგრამებსა და პროექტებში:** სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სამინისტროს სხვადასხვა პროგრამებთან და უზრუნველყოფს მასწავლებლების მონაწილეობას მათში.
4. **პროფესიული და კარიერული განვითარების ტრენინგები:** მასწავლებლები და სხვა პერსონალი იღებენ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას.

სკოლისათვის პრიორიტეტულია, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარება პირდაპირ კავშირში იყოს მოსწავლეთა შედეგებთან. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, და შესაბამისად, ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი ატმოსფერო და დამკვიდრებულია ორგანიზაციულ/ მონაწილეობითი კულტურა, რაც ხელს უწყობს როგორც მთელი სკოლის განვითარებას, ასევე ყველა კონკრეტული თანამშრომლის განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით, გაირკვა, რომ სკოლა უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას აძლევს მათ და ეხმარება სტატუსის ამაღლებაში. პროფესიული ზრდის და გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ წარმატებულ გაკვეთილებს, ანალიზებენ გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს და განმავითარებელ შეფასებას.

პროფესიული განვითარების პროცესში განხორციელებული ყველა აქტივობა მიზნად ისახავს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.

სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს ამ პროცესს, რეგულარულად უწევს ორგანიზებას როგორც შიდა, ასევე გარე ტრენინგებს. გარდა მასწავლებლებისა, სხვა პერსონალიც პერიოდულად ერთვება ტრენინგებში. მაგალითად, სკოლის ბიბლიოთეკარმა 2024 წელს გაიარა საბიბლიოთეკო საქმისწარმოების ტრენინგი.

ინდიკატორის 3.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს პერსონალის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ამ მიზნით, სკოლის დებულების თანახმად, ახალმიღებულ თანამშრომლებს ადაპტაციის პროცესში დახმარებას უწევს სკოლის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მათ აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. მასწავლებლობის მამიებელ კადრს, სკოლის დებულების შესაბამისად, აუცილებლად ენიშნება ტუტორი, რომელიც უზრუნველყოფს მის დახმარებას სხვადასხვა აქტივობების წარმატებით განხორციელებაში და ხელს უწყობს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაში. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან გასაუბრებით, მათვე აღნიშნეს, რომ სკოლაში სუფევს მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემო, დამკვიდრებულია თანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ, იგრძნონ თავი სკოლას გუნდის სრულფასოვან და ღირებულ წევრად.

ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლაში დანერგილია რიგი აქტივობებისა, როგორცაა: გაცნობითი შეხვედრები; ტრენინგები; ვორქშოპები; ექსკურსიები; გასვლითი კორპორატიული ღონისძიებები და სხვა.

ინდიკატორის 3.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დელეგირებულია თანამშრომელთა უფლება/მოვალეობები, შინაგანაწესში და პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი, რაც ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტურ წარმართვას. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და პატივს სცემენ კოლეგების აზრს. სკოლაში წახალისებულია მათი ინიციატივები, რაც საქმიანობისათვის ნდობას და პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის. სკოლის სამოქმედო გეგმის ერთ ერთ მთავარ მიზანს სკოლის ადამიანური რესურსის განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც დაგეგმილია, მათი საჭიროების გათვალისწინებით ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლის თანამშრომელთა ცნობები/სერტიფიკატებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლებს დაესწრონ მათთვის საინტერესო და სასურველ ტრენინგებს. ასევე, პერსონალის განვითარების წახალისებას ემსახურება სკოლის შინაგანაწესით გაწერილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებიც.

სკოლის ბიუჯეტის გაცნობის შედეგად, დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს შესაბამის სახსრები პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს მიიღონ ინფორმაცია ამ სახსრების შესახებ და შესაძლებლობის ფარგლებში, დაფინანსდეს მათთვის საჭირო აქტივობები.

ინდიკატორის 3.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლა–ინტერნატის დირექტორის 2020 წლის 03 დეკემბრის N23–80 ბრძანება;
- "მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N3–46 ბრძანება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3–56 ბრძანება;
- "შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N3–45 ბრძანება;
- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N3-74 ბრძანება;
- სკოლის ბიბლიოთეკარის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დოკუმენტი;
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობი მივიღებების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სკოლის ბიუჯეტები წლების მიხედვით;
- ფულადი დანამატის გაცემის ბრძანებები;
- სიგელების დამზადების ბრძანება;
- გაკვეთილებზე დასწრების განრიგი;
- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირის ამსახველი მასალა;
- სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგები;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

□ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

ექსპერტთა მიერ სკოლის დებულების, შინაგანაწესისა და ფილოსოფიის, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, კურიკულუმის მეთოდოლოგიისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია დემინგის ხარისხის მართვის მოდელზე (PDCA). შესაბამისად, დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას აქვს უწყვეტი ციკლის სახე და მიზნად ისახავს სკოლაში ხარისხის კულტურის ამაღლებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს მთელ რიგ აქტივობებს, როგორიცაა: სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება; ხარისხის მართვა; სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ხელშემწყობის საკითხების განხილვა; სკოლის განვითარებაზე ზრუნვა. მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვა; სასწავლო პროცესის სრულყოფა. ამავე მიზნით სკოლაში ხორციელდება სასწავლო პროგრამების შეფასება და მათი შემდგომი გაუმჯობესება; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება.



სკოლაში შემუშავებულია ასევე სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომლის თანახმად სკოლაში მუდმივად წარმოებს სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი გარკვეულწილად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან.

ინდიკატორის 3.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის დებულებით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომლითაც გაწერილია სკოლის პერსონალის და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლაში შემუშავებული რეგულაციები - სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სკოლის დებულება, შინაგანაწესი თუ სხვა დებულებები/წესები აღწერს სკოლის ფუნქციონირებისათვის იდენტიფიცირებულ მმართველობით (სტრატეგიული დაგეგმარება, ერთწლიანი დაგეგმარება, ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმარება), ძირითად (მოსწავლეთა კორპუსთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების მართვა, კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა) და სკოლის საჭიროების შესაბამის ყველა პროცესს.

ინდიკატორის 3.3.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. მათ შორისაა - თავი 13 განცხადების/საჩივრის განხილვა და ბრძანების გაცნობა, მუხლი 33 განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ცალკე დოკუმენტად ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე.

დოკუმენტის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მასში ყველა არსებითი საკითხია ასახული, ხოლო სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ მათ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მოსწავლეების, სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია დამოუკიდებელი კომისია. კომისიის მიერ საჩივრის განხილვა ხდება ერთი თვის ვადაში თუ კანონით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული.

დოკუმენტით დგინდება ასევე, რომ სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კონკურსის წესით გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

ინდიკატორის 3.3.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შინაგანაწესით გაწერილია ასევე პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში, თანამშრომლისთვის და მშობლებისათვის მათი უფლება მოვალეობების და შიდასასკოლო რეგულაციების გაცნობის ვალდებულება. პერსონალისა და მშობლების/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლაში შემუშავებული საჩივრების განხილვის სისტემა, რომლის თანახმად მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები.

სკოლაში შექმნილია და დამტკიცებულია "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება," რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 სექტემბრის N3-69 ბრძანებით. ამ დებულებით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, მოვალეობები და მათი განხორციელების შესაძლებლობები.

დამრიგებლები ორგანიზებას უწევენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რათა გააცნონ მოსწავლეთა უფლებები და სკოლაში არსებული წესები.

თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება მათთან შრომითი ხელშეკრულების პირობებისა და სკოლის შინაგანაწესის გაცნობის გზით, აგრეთვე დირექტორატის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებზე და დირექტორის მონაწილეობით განხორციელებული კომუნიკაციის მეშვეობით. პერსონალისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, სკოლის შინაგანაწესში ასახულია დისციპლინური გადაცდომების და შესაბამისი პასუხისმგებლობის სახეები.

ინდიკატორის 3.3.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2020 წლის 03 დეკემბრის N23-80 ბრძანება;



- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება;
- "შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N3-45 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 სექტემბრის N3-69 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (შემდეგში ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია) სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს N3-31 ბრძანება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N3-67 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისა და გაზიარების ეფექტური მიდგომები.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათი ჩართულობა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში, კომისიებში, სამუშაო ჯგუფებში და საგნობრივ კათედრებზე უზრუნველყოფს მათი მხრიდან სკოლის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

სკოლის დებულებით, შინაგანაწესით, საფეხურის სასკოლო კურიკულუმებითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მექანიზმები ქმნის ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ მშობლებმა შეძლონ თანამშრომლობა ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, შინაგანაწესს და საფეხურის სასკოლო კურიკულუმის ძირითადი ნაწილების შესახებ ინფორმაციას: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას და დამატებითი აქტივობების შესახებ, რომელთა განხორციელება დაგეგმილია სასწავლო წლის განმავლობაში.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მისი ცვლილებებისა და განხორციელების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის, ხოლო გამოცემული ბრძანებების შესახებ ინფორმაციის გაცნობა ხდება სკოლის ვებ-გვერდის მეშვეობით.

წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ უკუკავშირის მისაღებად, სკოლა პერიოდულად ატარებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან, რომლის ანალიზის საფუძველზე ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების დასახვა.

ინდიკატორის 3.3.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრები (რომელიც აერთიანებს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს), პედაგოგიური საბჭო, რომელიც იღებს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებში მონაწილეობას, როგორიცაა საფეხურის სასკოლო კურიკულუმის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების განხილვა და და სხვა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საჭიროების შესაბამისად პერიოდულად იქმნება სამუშაო ჯგუფები, დღის წესრიგში მდგარი სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში ჩართულნი არიან ასევე მოსწავლეთა მშობლები.

ინდიკატორის 3.3.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N3-67 ბრძანება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება;
- "შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N3-45 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 სექტემბრის N3-69 ბრძანება;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (შემდეგში ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია) სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს N3-31 ბრძანება;
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კლასისთვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობის კრების სხდომის ოქმის ნიმუში;
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2020 წლის 03 დეკემბრის N23-80 ბრძანება.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და



სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ნოემბრის N3-76 ბრძანებით, დამტკიცებულია "უსაფრთხოების დებულება", დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N3-54 ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი 5 პირი: უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, 3 დარაჯი და ტექნიკური მენეჯერი. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის პოლიცია, რაც დასტურდება, როგორც ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური და სამმართველოსთან გაფორმებული 2019 წლის 12 ივლისის დოკუმენტით.

სკოლის დებულებისა და შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის აღმასრულებელი დირექტორის 2025 წლის 13 იანვრის N3- 02 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა და შექმნილია საგანგებო შტაბი. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 13.01.2025 წერილის საფუძველად დგინდება, რომ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის გეგმა შეესაბამება 'საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის 452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნა სამსახურის მიერ.

სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება სკოლაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სახანძრო აღჭურვილობით, ინფრასტრუქტურით. სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს დარაჯები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ყველა შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა მიზნობრივ სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი N 449 მიწერილობა, რომელიც გაგზავნილია უფლებამოსილ უწყებასთან, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაციაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.

ავტორიზაციის ვიზიტის მომენტისთვის სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი დადებითი დასკვნა, რომელიც ექსპერტთა მიერ გაზიარებული იქნა. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორი 4.1.1.1, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი, გადაისინჯა და შეფასდა სრულ შესაბამისად.

ინდიკატორის 3.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

"ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლისში სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების წესების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N3-65 ბრძანებისა და "საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში სკოლაში დასაქმებული ექთანი უწევს სკოლის პერსონალს, მოსწავლეებსა და სტუმრებს პირველად სამედიცინო დახმარებას. სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით.

სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ კორპუსში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავედება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და სრულად არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი. ექთანი დადგენილი წესით ახდენს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას "საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად. ექთნის ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ სკოლა ახორციელებს ვაკანსიების გამოცხადებას შესაბამის პოზიციებზე. წარმოდგენილი იქნა teacherjobs.ge-ს ვებგვერდიდან ამონაბეჭდი, რაც ადასტურებს, რომ სკოლის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი ექიმის პოზიციაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხორციელდება სისტემატურად — ვადის ამოწურვისთანავე სკოლა უზრუნველყოფს ვაკანსიის ხელახალ გამოცხადებას.

ინდიკატორის 3.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები (შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან) და ცალკე დოკუმენტად უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-5 მუხლით განსაზღვრულია წესრიგისა და სკოლის ქონების დაცვის მექანიზმები. სკოლაში უსაფრთხოების, სკოლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები რეგულირებულია ასევე სკოლის შინაგანაწესით, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება. შინაგანაწესში დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და შესაბამისი პროცედურების დაცვით, სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. თუმცა, სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს. პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციის ინიციატივით, კლასის დამრიგებლებისა და მშობლების ჩართულობით, იმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები, რაც მომავალში შეიძლება აისახოს

სასწავლო და სასკოლო პროცესებზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც სკოლის წესრიგის დაცვას ემსახურება, არის მორიგების გრაფიკი. აღნიშნული გრაფიკი უზრუნველყოფს მასწავლებლების მიერ სკოლის ტერიტორიაზე დასვენების დროს საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლს და სკოლის საერთო უსაფრთხოებას.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უფლებამოსილი პირისა და მორიგე მასწავლებლების საშუალებით. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობებში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი; უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი; წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე.

ინდიკატორის 3.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით, დამრიგებლები პერიოდულად ატარებენ კლასის საათებს, რომელთა ფარგლებში, ასაკის შესაბამისი აქტივობებით, მუშაობენ შემდეგ მიმართულებებზე:

- მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის შექმნა;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ბულინგი;
- პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- სხვა შესაბამისი აქტივობები.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ქცევის ნორმების გათვალისწინება, დამატებით უწყობს ხელს ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. აღნიშნული ნორმები სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაცული წესების მეშვეობით ქმნის მხიარულ და მეგობრულ გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე გრძნობს თავს დაცულად და დაფასებულად.

სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ: სატრაპეზო, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, სკვერი და მოსწავლეთა გასართობი სივრცეები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, რომლებიც გამოფენილია საკლასო ოთახებში და დერეფნებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური კავშირი და მიკუთვნებულობის განცდა.

ინდიკატორის 3.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N3-65 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის 01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების („წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“) შესაბამისად. ამ მიზნით სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი და 1 მეუზოვე, 3 მებაღე, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების სისუფთავეზე. სკოლამ წარმოადგინა ასევე საპირფარეშოების, სახელოურების, და ხშირად გამოყენებული საერთო ფართის ზედაპირების სანიტარული დამუშავების გრაფიკი და აღრიცხვის ჟურნალი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას აქვს ასევე წყლის შემმოწმებელი აპარატი.

ინდიკატორის 4.1.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას ჰყავს პერსონალური დაცვის ოფიცერი, რომლის პასუხისმგებლობაა პერსონალური მონაცემების დაცვა და შემუშავებულია შესაბამისი წესი. შესაბამისად სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, როგორიცაა:

- ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია;
- სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია;
- ბიომეტრიული მონაცემები;
- სხვა პირადი მონაცემები.

სკოლის დირექცია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას.

ინდიკატორის 4.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლის დებულებით განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებული მონაცემების

მიღებაზე წვდომა. მონაცემებზე წვდომა ხორციელდება მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობასა და მონაცემთა უსაფრთხოებას.

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. ასევე წესების დაცვით ასახავს სკოლა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში- Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). ელექტრონულ ბაზაში (school.emis.ge) არსებული მოსწავლეების, მშობლების და თანამშრომლების მონაცემებზე წვდომა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებას და დაცვას სკოლის მონაცემთა მართვის პროცესში.

ინდიკატორის 3.4.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი და შეფასება. დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს მკაცრად კონტროლდება პროცესის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - მონაცემები მუშავდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული შიდა სასკოლო წესით, სამართლიანად და კანონიერად, მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის. თანამშრომლები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

დელეგირებულია უფლებამოსილებები სკოლაში დასაქმებულ პერსონალზე, რომელთა წევრებიც, საკუთარი კვალიფიკაციის, უფლებამოსილებისა და ვალდებულებების შესაბამისად, ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებენ როგორც სასწავლო პროცესს, ისე სხვა ადმინისტრაციულ, სამეურნეო და ოპერაციულ საკითხებს.

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობს ყველა შესაბამისი პირი, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას და სკოლის პროცესების უწყვეტობას. სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგის განხორციელების მტკიცებულებები, ოქმებისა და ანგარიშების სახით.

ინდიკატორის 3.4.1.8 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ნოემბრის N3-76 ბრძანება;
- "უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2020 წლის 01 სექტემბრის N3-43 ბრძანება;
- "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრის შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N3-54 ბრძანება;



- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების წესების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N3 65 ბრძანება;
- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N3-74 ბრძანება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება;
- "შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N3-45 ბრძანება;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შესაბამისობის გეგმა;
- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის აღმასრულებელი დირექტორის 2025 წლის 13 იანვრის N3- 02 ბრძანება;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ბრძანება;
- საევაკუაციო გეგმები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში, ა. ნატროშვილის ქუჩაზე. სკოლა განთავსებულია 14,040 კვ.მ. მიწის ფართობზე, რომელზეც განთავსებულია 6 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით 4,200 კვ.მ. აღნიშნული სახელმწიფო ქონება, რომელიც სსიპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სარგებლობაშია, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაეცა სკოლა-ინტერნატს 2037 წლამდე.

შენობა/ნაგებობა N1 - მთლიანი ფართობი შეადგენს **883.90 კვ.მ.** შენობაში განთავსებულია:

- სამასწავლებლო და სამედიცინო კაბინეტები;
- 8 საკლასო ოთახი, რომელთაგან 5 გათვლილია I, II, III, V და VI კლასებისთვის;
- მოსწავლეთათვის განკუთვნილი სველი წერტილები: 2 კაბინა ვაჟებისთვის, 2 კაბინა გოგონებისთვის და 2 ადაპტირებული სველი წერტილი.

შენობა/ნაგებობა N2 - მთლიანი ფართობი შეადგენს **1237 კვ.მ.** შენობაში მოწყობილია:

- ფიზიკისა და ქიმია/ბიოლოგიის სპეციალიზებული კაბინეტები;
- სააქტო დარბაზი - გათვლილია 100 ადამიანზე, რაც იძლევა შესაძლებლობას ერთდროულად გაიმართოს სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის კულტურული, ინტელექტუალური და შემეცნებითი აქტივობები;
- საკლასო ოთახები IX, X, XI და XII კლასებისთვის;
- მოსწავლეთათვის განკუთვნილი სველი წერტილები: 2 კაბინა ვაჟებისთვის, 2 კაბინა გოგონებისთვის და 2 ადაპტირებული სველი წერტილი.

შენობა/ნაგებობა N3 - მთლიანი ფართობი შეადგენს **921.48 კვ.მ.** შენობაში განთავსებულია:

- საკონფერენციო დარბაზი, რომელიც გათვლილია 40 ადამიანზე, განკუთვნილია სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების, ტრენინგების, სემინარებისა და სხვა სახის კომუნიკაციური და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის;
- სტანდარტული სპორტული დარბაზი;
- გასახდელეები ვაჟებისა და გოგონებისთვის;



- დირექტორის სამუშაო კაბინეტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების (ICT) კაბინეტი;
- 3 საკლასო ოთახი IV, VII და VIII კლასებისთვის;
- მოსწავლეთათვის განკუთვნილი სველი წერტილები: 2 კაბინა ვაჟებისთვის, 2 კაბინა გოგონებისთვის და 2 ადაპტირებული სველი წერტილი.

შენობა/ნაგებობა N4 - მთლიანი ფართობი შეადგენს **615 კვ.მ.** მასში განთავსებულია ბიბლიოთეკა. შენობის სახურავზე მოწყობილია ვერანდა და მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ბუნებრივ საფარიანი სპორტული მოედანი.

შენობა/ნაგებობა N5 - რომლის მთლიანი ფართობი შეადგენს **204 კვ.მ** -ს განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის.

შენობა/ნაგებობა N6 - მთლიანი ფართობი შეადგენს **89 კვ.მ.** შენობაში მოწყობილია სატრაპეზო და საყარაულო.

სკოლის ეზოში დგას საქვაბე.

სკოლის ეზო შემოღობილია და დაცულია უსაფრთხოების თანამედროვე საშუალებებით — დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა. ეზოში მოწყობილია სკვერი და მოსწავლეთათვის განკუთვნილი გასართობი სივრცეები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს სკოლის საზოგადოებისთვის.

სკოლაში სწავლობს 203 მოსწავლე. ყველა 15 საკლასო ოთახი სრულად აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით: მასწავლებლის მაგიდებით, მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, ასევე სასკოლო დაფებით.

სკოლას გააჩნია ყველა საჭირო რესურსი სასწავლო პროცესის ხარისხიანად განსახორციელებლად, რაც სრულად აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს. მატერიალური რესურსი პერიოდულად ახლდება, ხოლო საჭიროებების მიხედვით სკოლა ახორციელებს ახალი რესურსების მოძიებასა და შეძენას.

საბუნებისმეტყველო კაბინეტები (ქიმია, ბიოლოგია) სრულად აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური ბაზით. ქიმიის ლაბორატორიისთვის გამოყოფილ სივრცეში:

- დაცულია ქიმიური რეაგენტები
- დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი კარადა
- განთავსებულია სადემონსტრაციო მაგიდები
- კაბინეტები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით (ფანჯრები)
- კედლებზე გამოფენილია თემატური პოსტერები
- ლაბორატორიის კარადებში ინახება ქიმიური ჭურჭელი, ბიოლოგიისა და ქიმიის მოდელები, მოსწავლეთა ნამუშევრები
- ყველა საცავი (კარადა) იკეტება, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას

ინდიკატორის 3.5.1.1.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე სრულყოფილ ხელმისაწვდომობას.

სკოლაში ფუნქციონირებს როგორც გარე სპორტული მოედანი, ისე შიდა სტანდარტული სპორტული დარბაზი, სადაც რეგულარულად იმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და აქტივობა. სპორტის გაკვეთილები მიმდინარეობს ინტერაქტიულ და დინამიკურ ფორმატში; მოსწავლეთა შორის ხშირად ტარდება შიდა შეჯიბრებები, რაც ხელს უწყობს მათი ფიზიკური განვითარებისა და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერებას.

სკოლის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგიური პერსონალისთვის და წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვან მხარდამჭერ რესურსს.

სკოლა აღჭურვილია მუდმივი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, რაც ხელს უწყობს როგორც საინფორმაციო-საძიებო, ისე ექსპერიმენტული აქტივობების ეფექტიან ორგანიზებას. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ქმნის პოზიტიურ, მოტივაციის გამაღრმავებელ სასწავლო გარემოს.

მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ შეუზღუდავად გამოიყენონ კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები და სხვა ტექნიკური საშუალებები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ეფექტურად წარმართვისთვის.

სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება ინტელექტუალური შეჯიბრებების, კულტურული ღონისძიებებისა და სხვადასხვა სასკოლო აქტივობების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა არაფორმალური განათლების გაღრმავებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ინდიკატორის 3.5.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით. ბიბლიოთეკაში დაცულია დაახლოებით 1300 ერთეული წიგნადი ფონდი, რომელიც სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების სამივე საფეხურის სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) მოთხოვნებს.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს:

- გრიფირებულ სახელმძღვანელოებს;
- მხატვრულ და შემეცნებით ლიტერატურას;
- ინგლისურენოვან და გერმანულენოვან გამოცემებს;
- დამხმარე სახელმძღვანელოებს სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით;
- პერიოდულ გამოცემებს;
- მასწავლებლებისთვის განკუთვნილ მეთოდურ სახელმძღვანელოებს.

სკოლას გამოწერილი აქვს შემდეგი პერიოდული გამოცემები: „შირაქი“ და „ახალი განათლება“.

ბიბლიოთეკის მუშაობას უზრუნველყოფს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის რესურსების მართვასა და მომხმარებელთა მომსახურებაზე.

ბიბლიოთეკის ფუნქციონირება რეგულირდება დადგენილი წესებით, რომლებიც გაწერილია დოკუმენტში — „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“ - დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის №N3-68 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია ბიბლიოთეკის შენობაში.

ინდიკატორის 3.5.1.3.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში შექმნილია ყველა საჭირო პირობები, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ კომფორტული სასწავლო გარემო და შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღება. სკოლა უზრუნველყოფს ადაპტირებულ გარემოს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს შშმ პირების საჭიროებებს.

კორპუსების შესასვლელებში დამონტაჟებულია პანდუსები, რაც უზრუნველყოფს წვდომას შესასვლელთან. ასევე, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორცაა ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები და ეზო, სრულად ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორის 3.5.1.4.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას სოციო-კულტურული ცენტრის სახით. სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი ეზო, რომელიც მოიცავს მოსასვენებელ, გამწვანებულ სივრცეებს. ეს გარემო პოპულარულია როგორც მოსწავლეებში, ისე მათ მშობლებსა და სკოლის თანამშრომლებში.

შენობის შიდა სივრცეები დაგეგმილია ისე, რომ ხელი შეუწყოს კომუნიკაციასა და სოციალურ ინტეგრაციას. დერეფნებში შექმნილია თავისუფალი ზონები, რომლებიც განკუთვნილია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგებისთვის. ეს სივრცეები ამაგრებს სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთობისა და თანამშრომლობის კულტურას.

სკოლაში რეგულარულად ტარდება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი აქტივობები, საგნობრივი კვირეულები და შიდა სპორტული შეჯიბრებები, მათ შორის — „მხიარული სტარტები“, ფეხბურთისა და კალათბურთის ტურნირები.

სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება ინტელექტუალური შეჯიბრებების, კულტურული ღონისძიებებისა და შემეცნებითი აქტივობების ჩასატარებლად, რაც სკოლის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

სკოლას ასევე გააჩნია სამკითხველო დარბაზი, აღჭურვილი შესაბამისი ავეჯით (მაგიდები და სკამები), სადაც მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საინტერესო ლიტერატურას, იმსჯელონ ახალ იდეებზე და შეიმუშაონ ინიციატივები სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივ თემებზე.

ინდიკატორის 3.5.1.5.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერები;
- ინვენტარიზაციის აქტები და შესაბამისი დანართები (ვიდეოსამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია); "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3–56 ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი
- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლისში ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N3–68 ბრძანება;
- საბუნებისტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ფლობის დოკუმენტაცია;
- სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- წიგნების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- გაზეთ ახალი განათლების გამოწერის დოკუმენტი;
- გაზეთ შირაქის გამოწერის დოკუმენტი;
- საკანცელარიო საშუალებების შეძენის დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას



1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლა აღჭურვილია საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, რომლებიც ხელს უწყობს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას. სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების და ლეპტოპების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში (16), ხოლო ნაწილი (15) – სკოლის სხვა სარგებლობის სივრცეებში, მათ შორის ბიბლიოთეკაში.

სკოლას აქვს პრინტერი და ქსეროქსი, პროექტორები, ხოლო კვალიფიციური IT სპეციალისტი ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, ხოლო სკოლის დირექტორატსა და ადმინისტრაციას აქვს საჭირო კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის პრინტერები და სკანერის აპარატები.

ინდიკატორის 3.6.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მიზნობრიობის შესაბამისად შეუზღუდავად გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსები.

მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სივრცეებში ტექნიკის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან საინფორმაციო მენეჯერი, ტექნოლოგიების მასწავლებელი, ასევე ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შესაბამის მომენტში მუშაობს მოსწავლეებთან ერთად საერთო სამუშაო სივრცეში.

გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, რომლის გამოყენებით მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ:

- ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- სასწავლო რესურსების გამოყენება;
- ელექტრონული მასალის ამობეჭდვა;

- სხვა სასწავლო ან კვლევითი აქტივობების განხორციელება.

ბიბლიოთეკაში აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკარი. საჭიროების შესაბამისად, საზიარო სივრცეები ხელმისაწვდომია სპეციალური განრიგით იმ მოსწავლეებისთვისაც, ვისაც არ აქვთ კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის შესაძლებლობა შინ. მათ შეუძლიათ ამ სივრცეებში იმუშაონ საშინაო დავალებებსა და სხვა სასწავლო პროექტებზე.

ამგვარად, სკოლის მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაციული ტექნოლოგიები სრულად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და სრულფასოვნად ხელს უწყობს მათი ციფრული კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორის 3.6.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინვენტარიზაციის აქტები და შესაბამისი დანართები (კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია);
- ინტერნეტის მომსახურების გადახდის ქვითარი;
- IT სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი საქმისწარმოების წესის ორგანიზება ხორციელდება დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის №3-66 ბრძანების საფუძველზე.

დადგენილი წესით რეგულირდება დოკუმენტბრუნვის პროცესის ორგანიზება, მათ შორის დოკუმენტების აღრიცხვა, კონტროლი, შესრულების მონიტორინგი, შემდგომი შენახვა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენება.

საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს:



- დოკუმენტბრუნვის შეუფერხებელ ფუნქციონირებას;
- სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას;
- მოსწავლეთა მოძრაობის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას;
- სკოლის არქივის დაცვასა და დოკუმენტების ასლების გაცემას მოთხოვნის საფუძველზე;
- საჯარო ინფორმაციის გაცემას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- შემოსული კორესპონდენციის მიღებას, დამუშავებასა და რეგისტრაციას დადგენილი წესით;
- კორესპონდენციის მიმღებთან დროულ მიწოდებასა და სხვა შესაბამის საქმიანობას.

დოკუმენტბრუნვის სისტემა მოიცავს სამ ძირითად კატეგორიას:

ა) **შემოსული დოკუმენტაცია** — დოკუმენტები, რომლებიც სკოლაში შემოდის სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ასევე ფიზიკური პირების წერილები, განცხადებები და საჩივრები;

ბ) **გასული დოკუმენტაცია** — დოკუმენტები, რომლებიც სკოლიდან გაიცემა სხვადასხვა უწყების ან პირების მისამართით;

გ) **შიდა დოკუმენტაცია** — დოკუმენტები, რომლებიც შეიქმნება სკოლაში მისი უფლებამოსილების ფარგლებში, მათ შორის: ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები, შიდა კორესპონდენცია და სხვა აქტები.

დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რეგისტრირდება ბრძანებების სახით, შესაბამისი ნუმერაციით კალენდარული წლის ფარგლებში.

ინდიკატორის 3.6.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, სარგებლობს ასევე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ერთიანი პლატფორმით — **eSchool.emis.ge**, სადაც შეყვანილია სკოლის ძირითადი მონაცემები, მათ შორის:

- სკოლის ადმინისტრაციული ინფორმაცია;
- პერსონალის შესახებ მონაცემები;
- მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია.

სისტემაში მუშაობას უზრუნველყოფს აღმასრულებელი დირექტორი.

გარდა ამისა, კორესპონდენციის მისაღებად და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას: skola.vaxtangorgasali2014@gmail.com.

ინდიკატორის 3.6.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის 3.6.2.3.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და რეგულირების განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებთან.

საჭიროებისამებრ, სკოლა პერიოდულად ავსებს თვითშეფასების ფორმებს და წარადგენს მათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მხარდაჭერითაც უზრუნველყოფს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი ნებართვების მიღებისა და სხვადასხვა საკითხის შეთანხმების პროცესში. ასევე, სკოლა მონაწილეობს სამხედრო გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებში შესაბამისი სტრუქტურების ჩართულობით.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლა ყოველწლიურად წარუდგენს ვაუჩერული დაფინანსების ათვისების შესახებ ინფორმაციას.

გარდა ამისა, სკოლა ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად:

- ყოველწლიურად წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე — <https://saras.gov.ge>;
- კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარადგენს შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს საქართველოს შემოსავლების სამსახურში.

ინდიკატორის 3.6.2.4.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შესაბამისობის გეგმა;



- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლისში საქმისწამოების წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N3–66 ბრძანება;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- რეგისტრაციის ჟურნალები;
- გამოცემული აქტები;
- გასული და შემოსული კორესპონდენციები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს ოფიციალურ ვებგვერდს (<https://skola-gorgasali.edupage.org>) და ასევე სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. სკოლას აქვს ასევე ელექტრონულ ფოსტა meufe.75@gmail.com და ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორის 3.6.3.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

სოციალურ ქსელებში შექმნილია თემატური ჯგუფები — მათ შორის კლასების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, რაც ხელს უწყობს კონკრეტულ ჯგუფებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფას. ჯგუფების მეშვეობით მონაწილე პირებს მიეწოდებათ სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

აკადემიური მოსწრების მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი მასწავლებლებისა და მოსწავლეების მშობლებისთვის. ინფორმაციის გაცვლა და მიმოცვლა, ასევე, ხდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სოციალური ქსელების მართვას უზრუნველყოფს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში ინფორმაციის მხოლოდ სანდო, ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებაზე.

ინდიკატორის 3.6.3.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოებასთან ეფექტური და მდგრადი ურთიერთობის უზრუნველყოფა, რაც განიხილება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობად. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის №N3–67 ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის საკომუნიკაციო არხების გამოყენების სტანდარტებს და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მართვის პრინციპებს;
- სკოლის მიერ ინფორმაციის გავრცელების ფორმებსა და პასუხისმგებლობებს;
- სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სკოლის საკომუნიკაციო რესურსების მართვის წესებს.

სკოლა მიზანმიმართულად იყენებს ვებპლატფორმებს, სოციალურ მედიასა და ელექტრონულ ფოსტას როგორც საინფორმაციო, ასევე უკუკავშირის მოპოვების საშუალებად. საზოგადოებასთან გამჭვირვალე და მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, პერიოდულად

ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევები და გამოკითხვები, რომელთა შედეგები ააშკარავებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების საჭიროებებს.

გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია სისტემატურად შეისწავლება და გამოიყენება:

- სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების განვითარების მიმართულებების დასადგენად;
- საკომუნიკაციო პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის;
- საზოგადოების ინტერესებზე მორგებული ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

უკუკავშირზე რეაგირება ხორციელდება მიმდინარე პროცესებში ჩართულობით, ინფორმაციის ოპერატიული ანალიზითა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებით, რაც უზრუნველყოფს სკოლის ღიაობასა და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას საზოგადოების წინაშე.

ინდიკატორის 3.6.3.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ვებ გვერდზე <https://skola-gorgasali.edupage.org/> ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის 3.6.3.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ოფიციალური ვებგვერდი შეიცავს იმ ინფორმაციას, რომლის გაცნობაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს შეიქმნან წარმოდგენა სკოლის საქმიანობაზე და გაეცნონ შიდა მარეგულირებელ წესებს.

კერძოდ, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ადმინისტრაციული სტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები;



- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- ფინანსური მდგრადობის ანგარიში;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- შიდა რეგულაციები (შინაგანაწესი);
- საფეხურის სასკოლო კურიკულუმის ძირითადი ნაწილები, როგორცაა: სასწავლო კალენდარი, დღის რეჟიმი, შეფასების სისტემა და სხვ.;
- დამატებითი მომსახურებები, რომლებიც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს;
- სიახლეები, დამხმარე ბმულები და სხვა ინფორმაცია, რომელიც სკოლისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის მიაწოდოს.

ვებგვერდზე ატვირთულია 2023-2024 სასწავლო წლის ანგარიშიც.

ინდიკატორის 3.6.3.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლისში საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის 2023 წლის 18 სექტემბრის N3-67 ბრძანება;
- ედუ ფეიჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- „ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სასწავლო გეგმების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო კურიკულუმების) დამტკიცების შესახებ“ სკოლის 2024 წლის 06 სექტემბრის N3-59 ბრძანება;
- "დებულების დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N3-56 ბრძანება;
- "შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N3-45 ბრძანება;
- სკოლის ვებ გვერდი;
- ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ფინანსურად სრულად არის უზრუნველყოფილი. შესაბამისი ბიუჯეტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 იანვრის №3–01 ბრძანების საფუძველზე და სრულად უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე, ისე სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ ფინანსურ მოთხოვნებს.

სკოლის ბიუჯეტის შედგენა ეფუძნება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, რაც უზრუნველყოფს მის მიზნობრივ ხასიათს და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ბიუჯეტით გათვალისწინებულია როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური გაწერილობა, კერძოდ:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, წახალისებისა და მოტივაციის ამაღლებისთვის გათვალისწინებული აქტივობები;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების შეძენა;
- სასწავლო პროცესის უწყვეტად, ორგანიზებულად და ხარისხიანად წარმართვისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული და ტექნიკური ხარჯები.

აღნიშნული ფინანსური პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია სკოლის მიზნებთან და მიზანმიმართულად უწყობს ხელს ხარისხიანი განათლების მიღწევასა და განვითარების სტაბილურობას.

ინდიკატორის 3.7.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეფუძნება არსებული რესურსების ანალიზსა და სამომავლო პროგნოზებს, რაც იძლევა შესაძლებლობას რესურსების მიზნობრივი გადანაწილებისა და საბიუჯეტო სტაბილურობის შენარჩუნების. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის საქმიანობის უწყვეტობა და ეფექტიანობა.

ფინანსურ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის დირექტორი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს უწევს აღმასრულებელი დირექტორის მიერ განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებს. დირექტორი ასევე უზრუნველყოფს:

- სკოლის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვას;
- ბიუჯეტისა და ფინანსური საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან;
- გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას.

სკოლა ყოველწლიურად აწარმოებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, რომლის შედეგებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე — <https://saras.gov.ge>. ეს პრაქტიკა განამტკიცებს სკოლის ღიაობას, პასუხისმგებლობას და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორის 3.7.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის 2025 წლის ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2025 წლის 03 იანვრის N3-01 ბრძანება;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;



2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვა და მათთვის კანონით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა რეგულაციებით, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მოსწავლეთა უფლებები, ინტერესები და მათი გათვალისწინების მექანიზმები ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:

- სკოლის დებულება,
- სკოლის შინაგანაწესი,
- პოლიტიკის დოკუმენტები.

აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრინციპები და შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სკოლაში თანასწორი, უსაფრთხო და მხარდაჭერილი საგანმანათლებლო გარემოს არსებობას.

სკოლას აქვს მოსწავლეთა წახალისების სხვადასხვა ფორმა. მხარდაჭერა ხორციელდება როგორც მატერიალურად, ისე აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობის გზით. სკოლა აფინანსებს მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა საგანმანათლებლო, სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებში, რაც აღრმავებს მათ მოტივაციას და ხელს უწყობს სრულფასოვან განვითარებას.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს უფლება:

- შეიმუშაოს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით,
- წარუდგინოს აღმასრულებელ დირექტორს წინადადებები სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

სკოლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ტრანზიციის მხარდაჭერისა და აღზრდის მექანიზმები, მათ შორის:

- რემედიაციის პროგრამა მოსწავლეთა აკადემიური წინსვლისთვის,
- ინდივიდუალური მხარდაჭერის და მენტორობის სისტემები.

დამატებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას:

- X-XI კლასებში ისწავლება საღვთო სჯული,
- XII კლასში — ეკლესიის ისტორია, რაც მიზნად ისახავს ეროვნული და სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების გაძლიერებას.

ინდიკატორის 4.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

მოსწავლის უფლებების დაცვის რეგულაციები სკოლის შიგნით გამჭვირვალედ არის შემუშავებული და საჯაროდ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის უფლებებს, განთავსებულია სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო და მარტივად ხელმისაწვდომ ადგილზე, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები უზრუნველყოფენ შინაგანაწესის გაცნობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათ მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების ცოდნასა და დაცვას.

სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებსა და ვებგვერდს ინფორმაციის გასაზიარებლად და სასკოლო საზოგადოებისათვის საჯაროობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის 4.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, რაც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ხელშეკრულებებში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა – მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და სკოლის – უფლება-მოვალეობები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ეს დოკუმენტები უზრუნველყოფს სასკოლო ურთიერთობების სამართლებრივად გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანად განხორციელებას.

ინდიკატორის 4.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- დებულება;
- მოსწავლის ხელშეკრულების შაბლონი;
- პერსონალური დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პერსონალური დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ბრძანება სიგელების დამზადების შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები



1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმები, რომლებიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლაში განხორციელებული ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დირექტორის ბრძანება №3-86 – „ა(ა)იპ მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის სტატუსის მოპოვების, მობილობის, სტატუსის დროებითი შეჩერების ან შეწყვეტის, ასევე საფეხურის დაძლევის პროცედურები.

დოკუმენტი საჯაროა – ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, სკოლის აღმასრულებელი დირექტორი უზრუნველყოფს მის წარდგენას ნებისმიერ დაინტერესებულ პირთათვის.

ინდიკატორის 4.1.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა სრულად იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში, მათ შორის პირველ კლასში, ხორციელდება მშობლის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება და აღდგენა, ასევე მობილობის პროცესი, სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. მოსწავლეს ეძლევა საშუალება, საფუძვლიანად გაწერილი პროცედურების დაცვით, დროებით შეაჩეროს ან აღიდგინოს სასწავლო სტატუსი.

ბაზისური ან სრული ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევა ხდება დადგენილი სტანდარტებისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

სკოლიდან მოსწავლის ამორიცხვა შესაძლებელია ორ შემთხვევაში: მშობლის მოთხოვნით, მობილობის პროცესის ფარგლებში და საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ, განათლების ახალი საფეხურზე გადასვლის საფუძველზე. აღნიშნული მექანიზმები ასახულია სკოლის შიდა დოკუმენტაციაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის როგორც სკოლაში ადგილზე, ისე სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის 4.1.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმები თითოეული საფეხურისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ორგანიზებულობასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას. თითოეული საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები.

კურიკულუმების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება კლასის დამრიგებლების მეშვეობით მშობლებთან კომუნიკაციის დროს. მშობელთა კრებებზე დამრიგებლები აცნობენ მშობლებს სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ მომსახურებებს და აქტივობებს.

მაგალითად, საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობენ საღვთო სჯულის სწავლებას, როგორც დამატებით სავალდებულო მომსახურებას, ასევე აქვთ შესაძლებლობა დაესწონ ფოლკლორისა და ქარგვის წრეებს — როგორც არასავალდებულო, არაფორმალური განათლების ნაწილს.

სკოლა ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში, როგორცაა სასკოლო ოლიმპიადები, საქველმოქმედო აქციები და სხვა ინიციატივები.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სასწავლო და არაფორმალური მომსახურებების შესახებ მონაცემები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვრცელდება სოციალურ ქსელებში. თითოეულ მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს აღნიშნულ აქტივობებში.

ინდიკატორის 4.1.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას თავიანთი კლასის მშობლებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე მშობელთა კრებების ფორმატში. კომუნიკაცია ორიენტირებულია მშობლების დროულად და სრულად ინფორმირებულობაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ.

გარდა ამისა, სკოლა აქვს შემუშავებული თითოეული საფეხურისთვის შესაბამისი სასკოლო კურიკულუმი, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგნობრივი პროგრამები, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები, სხვადასხვა სერვისები და სასკოლო აქტივობები, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის.

აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია სკოლის მიერ გამოყენებულ EduPage-ის საგანმანათლებლო პლატფორმაზე. ამ სისტემის მეშვეობით, როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეებს მუდმივად აქვთ წვდომა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა სიახლეზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და სწავლის პროცესში ჩართულობის მაღალ დონეს.

ინდიკატორის 4.1.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებგვერდი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის დებულება;
- მშობლებთან გასაუბრების შედეგები;
- მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები;
- ხელშეკრულებების ფორმები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;



2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სასწავლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესი და შესაბამისი დებულება, სადაც განსაზღვრულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლის ადმინისტრაცია და თითოეული პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს იმაში, რომ სკოლაში ახლადჩარიცხულ მოსწავლეს შეხვდეს მხარდაჭერილი და პოზიტიური გარემო. ასევე, უზრუნველყოფილია შესაბამისი ხელშეწყობა მოსწავლის წარმატებული ინტეგრაციისა და სწავლის პროცესის დასაწყებად და გასაგრძელებლად.

ინდიკატორის 4.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმები, რომელთა განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ კლასის დამრიგებლები. მათთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ დამრიგებლები ახალჩარიცხულ მოსწავლეებს აქტიურად ეხმარებიან სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში: ხელს უწყობენ მათ თანატოლებთან გაცნობასა და დამეგობრებას, აცნობენ კლასის პედაგოგებს, ათვალთვლებენ სკოლის ინფრასტრუქტურასა და არსებულ სასწავლო რესურსებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან. ასევე, უზრუნველყოფილი არის მშობლის ინფორმირება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრინციპებისა და მასთან დაკავშირებული მექანიზმების შესახებ.

სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშესაწყობად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. კერძოდ, დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით და ჰყავს კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი. აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ფაქტობრივი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის საკლასო ოთახები სრულად შეესაბამება ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებებს და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ასევე, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაწყებითი საფეხურის

მოსწავლეებისა და პირველკლასელების საზეიმო მიღებას. მათ საჩუქრად გადაეცემათ სხვადასხვა სასწავლო ნივთები და საინტერესო აქსესუარები.

დამრიგებელი ახალჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს სკოლაში მოქმედ შიდა დოკუმენტაციას, მათ შორის: შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს, უფლება-მოვალეობებს და სხვა მოქმედ ინსტრუქციებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას.

ინდიკატორის 4.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლა ახორციელებს სხვადასხვა მექანიზმს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და პროგრესის ხელშესაწყობად. ერთ-ერთ მთავარ საშუალებად გამოიყენება EduPage – თანამედროვე საგანმანათლებლო ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მშობლები და მოსწავლეები უწყვეტ რეჟიმში ინფორმირდებიან მოსწავლის შეფასებების, დასწრებისა და სასწავლო პროგრესის შესახებ.

სკოლაში მოქმედი ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს აკადემიური მონაცემების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას, რაც მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლის სასწავლო პროცესში.

მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მშობლის წერილობითი განცხადების საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სკოლა ახორციელებს სემესტრულ გამოცდებს, რომლებიც მიმართულია კონკრეტული საგნის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისკენ. აღნიშნული პროცედურა დეტალურად არის გაწერილი სასკოლო საფეხურების შესაბამის სასწავლო გეგმებში (კურიკულუმებში).

ინდიკატორის 4.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლამ წარმოადგინა დებულება, რომელიც არეგულირებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების პროცესსა და მშობელთან ურთიერთობის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად უდევს სისტემატურ და გამჭვირვალე კომუნიკაციას სკოლასა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლებს შორის.

სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის:

- სემესტრული ნიშნის გაუმჯობესების შესაძლებლობებზე;
- განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობაზე;
- საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის წინაპირობებზე და მათი ჩატარების წესებზე.



მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიან რეალიზებას. მათ შორის, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები სრულად ინფორმირდებიან განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობის შესახებ, რაც პრაქტიკაში მრავალი მოსწავლის მიერ წარმატებით გამოიყენება.

გარდა ამისა, სკოლა სისტემატურად აწვდის მოსწავლეებსა და მშობლებს ინფორმაციას სემესტრული ნიშნის გაუმჯობესების მიზნით დამატებითი გამოცდების ჩატარების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული მექანიზმი ყოველწლიურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ხელშეწყობას.

საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წინ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას, რაც მიზნად ისახავს მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და შეფასებების დონის ამაღლებას.

ინდიკატორის 4.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მონაწილეობით. აღნიშნული მიმართულება მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტერესების განვითარებას, ინიციატივების წახალისებასა და ზოგადი განათლების გაღრმავებას.

სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე მიმართულების წრე, მათ შორის:

- ფოლკლორის წრე
- ქარგვისა და ქსოვის წრეები
- მეტყველების კულტურის წრე

აღნიშნული წრეებით მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ და მონაწილეობენ სხვადასხვა სახის შემოქმედებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

სკოლაში სისტემატურად იმართება კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და მოტივაციის ზრდას. წრეების მოქმედება უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების მიერ, რომლებსაც სკოლასთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები.

ინდიკატორის 4.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა პრაქტიკად იყენებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა გამოკითხვას, რაც მიზნად ისახავს სკოლაში არსებული მდგომარეობის ანალიზს და საჭიროებების იდენტიფიცირებას. ჩატარებული კვლევების საფუძველზე სკოლა იღებს ქმედით და მიზანმიმართულ ნაბიჯებს, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ მიდგომების ჩამოყალიბებას.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული სკოლის შიდა ცხოვრებაში. სკოლა მუდმივად ცდილობს გამოავლინოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინტერესი და საჭიროება, რათა დაგეგმოს შესაბამისი საგანმანათლებლო, სოციალურ-კულტურული და დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციას.

ინდიკატორის 4.2.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი.
- წრის ხელმძღვანელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლის ადმინისტრაცია აქტიურ მხარდაჭერას ახორციელებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროცესში. დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა სასწავლებლების შესახებ. ასევე, სკოლაში ტარდება შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან, რომლებიც უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და სთავაზობენ მოსწავლეებს საჭირო რჩევებსა და რეკომენდაციებს კარიერულ განვითარებაზე.

სკოლას გარდა ამისა, აქვს გაფორმებული მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტთან, რაც ხელს უწყობს პროფესიული ორიენტაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებას.

ინდიკატორის 4.2.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ განახლებული და სანდო ინფორმაცია პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების ფორმებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორის 4.2.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა მუდმივად ცდილობს გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: ანონიმური კითხვარების, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების, მოსწავლეთა თვითმმართველობის რეკომენდაციების და სხვა უკუკავშირის მექანიზმების გამოყენებით. პარალელურად, სკოლა აქტიურად უსმენს მშობლების მოსაზრებებს და იღებს მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს შეხვედრების, კონსულტაციების, აგრეთვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლა გეგმავს ქმედით ნაბიჯებს, რომლებიც ორიენტირებულია სკოლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და სასკოლო საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის ინტერესების გათვალისწინებაზე.

ინდიკატორის 4.2.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აღმასრულებელი დირექტორის მოხსენება;
- დამრიგებლის მიერ ჩატარებული ღონისძიებები;
- დამრიგებლის სვოტ-ანალიზი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების არსებობას. კერძოდ, სკოლაში დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N3-60 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ, რაც ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის შესაბამის პუნქტებს,
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტს,
- ასევე სკოლის დებულების დადგენილ მუხლებს.

გარდა ამისა, წარმოდგენილია დირექტორის ბრძანება N3-59 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

სკოლა ფლობს ადაპტირებულ ინფრასტრუქტურას, რაც უზრუნველყოფს ფიზიკურ ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხო გარემოს. ასევე, სკოლა აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური რესურსებით.

დასაქმებულია კვალიფიციური სპეციალისტები, მათ შორის სპეციალური მასწავლებლები და ფსიქოლოგი. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ლოგოპედის ჩართვაც. სასკოლო საზოგადოება ფლობს საჭირო ცოდნასა და რესურსს, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, ეფექტიანად უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეთა ინკლუზია და აკადემიური მხარდაჭერა.

ინდიკატორის 4.2.3.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ფლობენ საჭირო მზაობასა და კომპეტენციას, რათა ხელი შეუწყონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლისა და განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას. სკოლაში

ჩამოყალიბებულია ხელშეწყობი და თანამშრომლობითი ატმოსფერო, სადაც როგორც ადმინისტრაცია, ასევე პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი ერთობლივად ზრუნავს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყველა მოსწავლისთვის უსაფრთხო, მხარდამჭერი და პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

ინდიკატორის 4.2.3.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებები, როგორცაა გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მიღების საფუძველზე (როდესაც ასეთი უფლებამოსილება აუცილებელია). სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს

გახანგრძლივებულ სწავლებას, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

ინდიკატორის 4.2.4.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება სკოლაში ხდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღების შეთანხმებული წესებისა და პირობების შესაბამისად და ემსახურება მოსწავლის განვითარებას. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა წრეებს: დაწყებით კლასებში (I-VI კლასი) – მეტყველების კულტურისა და ფოლკლორის წრეს; საბაზო საფეხურზე – ფოლკლორის და ქარგვის წრეს; საშუალო საფეხურზე – ფოლკლორის წრეს (X-XII კლასები) და XII კლასში დამატებით ისტორიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მოქალაქეობის და ინგლისური ენის წრეებს. აღნიშნული წრეები შეიქმნა მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად.

ინდიკატორის 4.2.4.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის მიერ არასავალდებულო მომსახურების განხორციელებისას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილება, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. უსაფრთხოების დაცვის რეჟიმი სკოლაში რეგულირდება შინაგანაწესით, დებულებით და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რაც უზრუნველყოფს თანაბარ სამართლებრივ გარანტიებსა და პასუხისმგებლობებს.

ინდიკატორის 4.2.4.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის შინაგანაწესი;



- სკოლის დებულება;
- გახანგრძლივებული მომსახურების ხელშეკრულება;
- წრეებზე გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	+შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა ,დანართი N5¹).

ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა ,დანართი N5¹).

ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა ,დანართი N5¹).

ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა ,დანართი N5¹).

ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართი N20);
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი (დანართი N20);
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი N67);
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის საგნობრივი კათედრის ოქმები (დანართი N68);
- ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის სკოლის ვებ გვერდი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივ ექსპერტთა შეფასებით დაწყებითი საფეხურის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი რჩევას აძლევს სკოლას რომ სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების სვეტში ძირითადი სასწავლო რესურსის — გრიფინიჭებული სახელმძღვანელოს მითითებისას დაცულ იქნას ერთიანი და სტანდარტიზებული მიდგომა. კერძოდ, სათანადოდ მიეთითოს სახელმძღვანელოს სრული ბიბლიოგრაფიული რეკვიზიტები: დასახელება, ავტორ(ებ)ი, გამომცემლობა და გამოცემის წელი.

აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს რესურსების სისტემურ აღრიცხვას, გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან რესურსების მიზნობრივ შერჩევასა და ეფექტიან გამოყენებას.

(იხილეთ საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა, დანართი 5²).

ინდიკატორის 2.1.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივ ექსპერტთა შეფასებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, სასურველია, შემოქმედებით დავალებებს დაემატოს ისეთი აქტივობებიც, რომლებიც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მაგ: როგორიცაა როლური თამაშები, მოდელების შექმნა, ილუსტრაციების ხატვა, მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება. სკოლას, ასევე, ურჩევს საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, რომ სასურველია საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. სპორტის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია ფესტივალზე აქტიურად ჩაერთოს მშობელი, როგორც თამაშებში, ისე გულშემატკივრის პოზიციაზე. ამით მოსწავლეს აუმაღლდება მოტივაცია. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა, დანართი 5²).

ინდიკატორის 2.1.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საგნობრივ ექსპერტთა შეფასებით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას-



საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი სკოლას ურჩევს რომ **სასურველია**, საგნობრივ კურიკულუმში მითითებული რესურსების გარდა, წარმოდგენილ იქნას დამატებითი, უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი, განსაკუთრებით დიფერენცირებული სწავლების მხარდაჭერის მიზნით. სასურველია რესურსთა ძირითად ჩამონათვალს (სახელმძღვანელო, რვეული, ტელესკოლა და ინტერნეტ რესურსი) დაემატოს: რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების წყაროები, ყოფაცხოვრებაში მარტივად ხელმისაწვდომი მასალების გამოყენების ინსტრუქციები, ონლაინ პლატფორმები და მასალები, რომლებიც შეიცავს დიფერენცირებული აქტივობების მაგალითებს, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის პრაქტიკულობას, მრავალფეროვნებას და მის ხელმისაწვდომობას მოსწავლეთა ფართო სპექტრისთვის. ასევე, ურჩევს რომ **სასურველია**, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების სვეტში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით).

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით, **სასურველია**, საგნების(*მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო*) **კურიკულუმის ჩარჩოებში** დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა(ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლებიც უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.

(იხილეთ საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა,დანართი 5²).

ინდიკატორის 2.1.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საგნობრივ ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის** რჩევით, სასურველია, დიფერენცირებული სწავლების ფარგლებში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის პროცესში მათი სრულფასოვანი ჩართულობის მხარდაჭერას.

